საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-503

18/07/2022

ქ. თბილისი

შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიასთვის“ ქ. რუსთავში ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს ,,ლევ 2019-ზე“ გადაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილისა და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,ქ. რუსთავში შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიას“ ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 15 ივლისის N2-1080 ბრძანებით შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიასთვის“ ქ. რუსთავში ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს ,,ლევ 2019-ს“.

2. შპს ,,ლევ 2019-მა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 15 ივლისის №2-1080 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა.

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი წესით.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიას“ და შპს ,,ლევ 2019-ს“.

5. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიას“ და შპს „ლევ 2019-ის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი